სტუმრად მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ეგიდითა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს თანადგომით ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებული ბავშვები საყოფაცხოვრებო ნივთებით, სურსათით, წიგნებით, სათამაშოებით, მედიკამენტებით, ტკბილეულით და ხილით დასაჩუქრდნენ.

მზრუნველობამოკლებული ბავშვები, რომლებიც განსაკუთრებული სითბოთი და გულისხმიერებით გამოირჩევიან, სტუმრებს სპეციალურად მათთვის მომზადებული კონცერტით შეეგებნენ. კონცერტზე ბავშვებმა ქართველი კლასიკოსების ლექსები, ქართული საგალობლები და ქართველი კომპოზიტორების სიმღერები შეასრულეს.

ნინოწმინდის ბავშვთა სახლში სტუმრობისას მასპინძლებმა სტუმრებს მშენებარე კომპლექსი დაათალიერებინეს, რომელშიც სულ მოკლე ხანში ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ახალსახლობას იზეიმებენ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ხელმძღვანელობა მადლობას უხდის ყველა იმ მოხელეს რომელმაც კეთილი ნება გამოიჩინა და დახმარება გაუწია ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს.

სააპელაციო სასამათლოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, კანცელარიში დაიდგმება სპეციალური ყულაბა, სადაც მოხელეები თანხას ბავშვთა სახლის დასახმარებლად ახალ წლამდე დააგროვებენ, საახალწლოდ კი სურსათ-სანოვაგით, ტანსაცმელითა და ტკბილეულით დატვირთულნი ნინოწმინდის ბავშვებთა სახლს კვლავ ესტუმრებიან. მოხელეთა აქტიური ჩართულობითა და თანადგომით მსგავსი აქცია წელიწადში რამდნჯერმე განხორციელდება.

კრეატიული იდეების კონკურსი

თბილისის სააპელაციო სასამართლომ კრეატიული იდეებისთვის 29 გამარჯვებული გამოავლინა. კრეატიული იდეების კონკურსში მონაწილეობა სასამართლოს მოხელეებმა და სტაჟიორებმა მიიღეს.

გამარჯვებული იდეების ავტორებს სასამართლოს მენეჯერმა თავმჯდომარის მადლობის სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

სასამართლო საქმიანობის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში სააპელაციო სასამართლოში კონკურსი მაისში გამოცხადდა. სასამართლოს მოხელეები და სტაჟიორები კრეატიულ იდეებსა და მოსაზრებებს სასამართლოში არსებული შიდა ქსელის მეშვეობით აფიქსირებდნენ.

სასამართლოში შესული 200 ნოვატორული იდეიდან 39-მა გაიმარჯვა და რამდენიმე მოწონებული იდეა სააპელაციო სასამართლოში უკვე დაინერგა.

კრეატიული იდეების კონკურსის გამოცხადება სასამართლოს მოხელეთა წახალისებასა და სასამართლო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას ისახავდა მიზნად. მსგავსი კონკურსის ჩატარებას სააპელაციო სასამართლოს ხელმძღვანელობა მომავალშიც გეგმავს.

კომუნიკაციის სტანდარტები მოსამართლეებისთვის

იყო დრო, როდესაც მოქალაქეს სასამართლოში მისვლა, მოხოლოდ იმიტომ კი არ ეძნელებოდა - მიიღებდა თუ არა სასურველ გადაწყვეტილებას, არამედ, ადარდებდა ის დამოკიდებულებაც, რასაც სასამართლო მოხელეებისგან თუ თავად მოსამართლისგან აწყდებოდა. სწორედ, ამ პრობლემის გამოსწორების მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საერთო სასამართლოების მიერ განისაზღვრა მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტები, რომელიც არეგულირებს სასამართლოში მოქალაქეებთან უშუალო და ელექტრონული კომუნიკაციის წესს, მოსამართლის ურთიერთობას სხდომათა დარბაზში და ადგენს მოხელის გარეგნობის სტანდარტს. ამ წესების ამოქმედების შემდეგ, თუ რა თქმა უნდა, მოქალაქემ იცის საკუთარი უფლება, შეუძლია, არაადეკვატური დამოკიდებულების გამო, მოითხოვოს კომუნიკაციის სტანდარტების დამრღვევი მოხელის თუ მოსამართლის დასჯა და მისდამი კეთილგანწყობილი დამოკიდებულებას აღდგენა.

მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ სასამართლოში მისვლისას მოხელე ვალდებულია

დაამყაროს მასთან თვალებით კონტაქტი, გაუღიმოს;

მიესალმოს, მიმართოს სახელით, თუკი ეს ცნობილია, აგრძნობინოს კეთილგანწყობა და შესთავაზოს დახმარება. სტანდარტებით დაუშვებელია მოქალაქესთან კომუნიკაციის დროს ნებისმიერი სხვა მოქმედება - ჭამა, სმა, საღეჭი რეზინის ღეჭვა, მესამე პირთან საუბარი, საბუთების დაწყობა, კომპიუტერში რაიმეს კეთება და ა.შ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოხელე უპასუხებს სამსახურებრივი სატელეფონო ზარს, ან მესამე პირის შეკითხვას, ან აუცილებელ საქმეზე გასვლის გამო მოუწევს მოქალაქის დატოვება, მოქალაქეს უნდა მოუხადოს ბოდიში.

თუ მოქალაქესთან ურთიერთობის შეფერხების მიზეზი მესამე პირის შეკითხვაა, მოხელემ უნდა სთხოვოს მესამე პირს დალოდება, კითხვაზე პასუხი კი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა გასცეს.

სასამართლოს თანამშრომელი ასევე ვალდებულია, ყურადღებით მოუსმინოს და არ გააწყვეტინოს მოქალაქეს სათქმელი. მან უნდა ისაუბროს ლაკონურად და მარტივი ენით, რომ არაიურისტი მოქალაქისთვისაც გასაგები იყოს იურიდიული ტერმინოლოგია.

მოხელე ვალდებულია დაიცვას მოქალაქის უფლება პირად, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლობაზე და არ განაცხადოს, თუ ეს თავად მოქალაქის სურვილი არ იქნება. სასამართლო მოხელემ მოქალაქეს უნდა მიაწოდოს მის ხელთ ან სასამართლოში არსებული სრული და უტყუარი ინფორმაცია, ხოლო თუ არ იცის, ვალდებულია მოიძიოს. იმ შემთხვევაში თუ ვერ მოიძია, იგი თავისუფლდება ამ ვალდებულებისგან და შეუძლია ინფორმაციის მომთხოვნი გადაამისამართოს, თუმცა, მიზეზი მაინც უნდა განუმარტოს და ამასთან, უნდა მისცეს გადამისამართების სუბიექტის მაქსიმალურად სრულყოფილი საკონტაქტო მონაცემები - სახელი და გვარი; თანამდებობა; სახელწოდება, მისამართი; ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, ელექტრონული ფოსტის მისამართი, სამუშაო საათები.

თუ სასამართლოში მისული მოქალაქე უკმაყოფილოა სასამართლოს პერსონალის მომსახურებით, მოხელე ვალდებულია, ყურადღებით მოუსმინოს მას, მოიხადოს ბოდიში და რაც შეიძლება სწრაფად იმოქმედოს პრობლემის გამოსასწორებლად, თუნდაც იგი უშუალოდ არ იყოს დამნაშავე. თუ პრობლემის მოგვარება ვერ ხერხდება გონივრულ ვადაში, მოხელემ უნდა ჩაინიშნოს მოქალაქის საკონტაქტო მონაცემები და შეატყობინოს რა პერიოდში დაუკავშირდება. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია დამატებითი დრო, მოხელე უნდა დაუკავშირდეს მოქალაქეს, განუმარტოს შეფერხების მიზეზები, მოიხადოს ბოდიში და შეატყობინოს შემდეგი დაკავშირების ვადა.

სასამართლო მოხელესთან კომუნიკაციის დასრულებისას, მოხელე უნდა დარწმუნდეს, რომ მოქალაქე კმაყოფილი დარჩა მასთან ურთიერთობით. თუ მოქალაქე უკმაყოფილოა, სასურველია მოხელემ სცადოს მისი დამოკიდებულების გამოსწორება.

"კომუნიკაციის სტანდარტები" ასევე ადგენს ელექტრონული და სატელეფონო კომუნიკაციის წარმოებს, რომლის თანახმად, სასამართლო მოხელე ვალდებულია ყურმილი აიღოს არაუგვიანეს მესამე ზარზე;

მან უნდა დაასახელოს თავისი სახელი და გვარი, უნდა ისაუბროს სასიამოვნო ტონით და არ უნდა აგრძნობინოს მოქალაქეს, რომ ეჩქარება.

რაც შეეხება კომუნიკაციას ელექტრონული ფოსტით, ამ შემთხვევაშიც სასამართლოს თანამშრომელი ვალდებულია 4 საათამდე შემოსულ ელექტრონულ წერილებს უპასუხოს იმავე დღეს, ხოლო 4 საათის შემდეგ შემოსულ ელექტრონულ წერილებს - მეორე დღეს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ან გონივრულად გამართლებული გამონაკლისებისა.

გარდა სასამართლო მოხელეებისა "კომუნიკაციის სტანდარტები სასამართლოში" მნიშვნელოვან წესებს უდგენს მოსამართლეებსაც

"მოსამართლე თავდაჭერილად და პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს მოქალაქეებს.

მან უნდა ისაუბროს ოფიციალური სტილით, პრინციპული ტონით და საჭიროების მიხედვით იყოს ზომიერად მკაცრი, მაგრამ არ შელახოს მოქალაქის ღირსება.

ყურადღებით უნდა მოუსმინოს მოქალაქეებს და არ გააწყვეტინოს მათ სიტყვა. ეს წესი არ მოქმედებს, თუ მოქალაქის სიტყვა შეუსაბამოა საქმის არსთან ან მიზნად ისახავს საქმის განხილვის გაუმართლებელ გაჭიანურებას.

მოსამართლე არ უნდა შევიდეს მოქალაქესთან კონფლიქტში და არც ფამილარული დამოკიდებულება არ უნდა გამოამჟღავნოს. უნდა ისაუბროს ლაკონურად და მარტივი ენით, რათა მოქალაქისათვის ნათელი იყოს მისი კითხვის, მოთხოვნისა თუ გადაწყვეტილების შინაარსი. მოსამართლის კომუნიკაცია არ უნდა იწვევდეს ობიექტურ ეჭვს მისი მიკერძოებულობის ან დამოკიდებულების თაობაზე.

მოსამართლემ, როგორც ნეიტრალურმა არბიტრმა, არ უნდა გამოხატოს მისი პიროვნული დამოკიდებულება და ემოციები არც ვერბალური და არც არავერბალური (მიმიკა, სხეულის მოძრაობა და სხვა) ფორმით," - ასეთია მოსამართლის სავალდებულო ქცევის წესები სასამართლო სხდომის დარბაზში.

მიუხედავად იმისა, რომ მანდატური თავად არის სასამართლო შენობაში წესრიგის დამცავი, თავადაც ვალდებულია დაემორჩილოს დადგენილ წესებს, კომუნიკაციის სტანდარტებით, მანდატური თავისი საქციელითა და საუბრის მანერით პატივისცემასა და კეთილგანწყობას უნდა იწვევდეს მოქალაქეში და არა შიშსა და დაძაბულობას. იგი გულისხმიერად უნდა მოეკიდოს მოქალაქის ნებისმიერ მოთხოვნასა და კითხვას, მიასწავლოს მას სხდომათა დარბაზის მდებარეობა, წარუდგინოს პასუხისმგებელ მოხელეს, საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს გადაადგილებაში.

იმისათვის, რომ მოქალაქემ სასამართლო შენობაში კონფორტულად იგრძნოს თავი, კომუნიკაციის სტანდარტებით ასევე დადგენილია სასამართლო მოხელეთა გარეგნობის ზოგადი სტანდარტები, რომლის მოთხოვნით, მოხელე უნდა ცდილობდეს, სასამართლოში შექმნას სასიამოვნო და ეფექტური სამუშაო გარემო, თავისი გარეგნობით კი უნდა შეესაბამებოდეს მოხელის პასუხისმგებლობის სტანდარტს.

სასამართლოს ქრონიკა
17 ოქტომბერი, 2011 წელი

საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის პრეზენტაცია

სასამართლოში დოკუმენტების ბრუნვა და საქმის წარმოება უკვე ელექტრონულ რეჟიმშია შესაძლებელი. რამდენიმე დღის წინ უზენაეს სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას ქართული და უცხოური საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.

მოქალაქისთვის სასამართლოსგან ობიექტურ გადაწყვეტილებასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია სწრაფი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება. წლების განმავლობაში სასამართლო სისტემა ერთ ბიუროკრატიულ წრედ იყო ქცეული. სასამართლოში შესული ნებისმიერი განცხადება იმთავითვე პირველადი რეგისტრაციის ჟურნალში ხვდებოდა, შემდეგ იგივე ინფორმაცია გადადიოდა საქმის კატეგორიულობის განმსაზღვრელ ჟურნალში, შემდეგ ალფავიტურ ჟურნალში. ივსებოდა სააღრიცხო სტატისტიკური ბარათი, რის შემდეგაც ინფორმაცია ხვდებოდა მოსამართლეთათვის გადასაცემ ჟურნალში, თავის მხრივ, იგივე ინფორმაცია ინიშნებოდა თანაშემწის ცნობარში და კიდევ რამდენიმე დამატებითი პროცედურის გავლის შემდეგ, ეს განცხადება აღწევდა მოსამართლემდე. უმეტეს შემთხვევაში, ამ პროცედურას თან ახლდა გარკვეული გაუგებრობები, რის გამოც, მოქალაქე ხშირად საკუთარი განცხადების ბედს სასამართლოს სხვადასხვა უწყების თანამშრომელთან არკვევდა, ეს კი უამრავ დროს, ენერგიას და ნერვებს მოითხოვდა. ბოლო პერიოდში მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა, თუმცა სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვის შემდეგ ეს პრობლემა საბოლოოდ ჩაბარდება წარსულს. ახალი სისტემა მოიცავს სამართალწარმოების ყველა დარგს - სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას.

როგორც ამ პროგრამის ერთ-ერთი სულისჩმდგმელი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი ამბობს, ელექტრონული პროგრამა საქართველოს 15 დიდ სასამართლოში უკვე მოქმედებს და წლის ბოლოსთვის სრული დატვირთვით ამუშავდება, 2012 წლიდან კი ქართული მართლმსაჯულება საქმის წარმოების ელექტრონულ ქსელში მთლიანად იქნება ჩართული.

შეხვედრა რექტორებთან

უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს შეხვდა.

შეხვედრაზე მიწვეულები იყვნენ უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები, არა მარტო თბილისიდან, არამედ რეგიონებიდანაც.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ სტუმრებს სასამართლოს მიერ შექმნილი ორი ახალი პროექტი: გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამა და უზენაესი სასამართლოს არქივის ელექტრონული პროგრამა გააცნო. კონსტანტინე კუბლაშვილის განცხადებით, ამ პროგრამების აქტიური მომხმარებლები, სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და დოქტორანტები იქნებიან.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს რამდენიმე საინტერესო აქტივობის განხორციელება შესთავაზა, მათ შორის, სასამართლო დარბაზების გამოყენება იმიტირებული პროცესების ჩასატარებლად.

უზენაეს სასამართლოსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

10-წლიანი პატიმრობა მეუღლის მკვლელობისთვის

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მეუღლის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ იროდიონ ნაჭყებიას საქმის განხილვა დაასრულა და იგი წარდგენილ ბრალში დამნაშავედ ცნო.

საქმის მასალების მიხედვით, დანაშაული 2011 წლის 31 მაისს ზესტაფონის რაიონში, მოკლულის ოჯახში მოხდა. სასამართლო განხილვებით დადგინდა, რომ იროდიონ ნაჭყებიას მეუღლესთან ნ.გ-სთან კონფლიქტი ეჭვიანობის ნიადაგზე მოუვიდა. იმავე ღამეს მან ცოლი საწოლში, კისრის არეში ხელის მოჭერით დაახრჩო. ამის შემდეგ კი თვითნაკეთი დანით კისრის არეში დაზიანებები მიაყენა, რომ ცოლის სიკვდილში დარწმუნებული ყოფილიყო. დამნაშავემ შემთხვევის ადგილი იმავე ღამით დატოვა და მარტვილის რაიონში წავიდა. შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში იგი ნებაყოფლობით გამოცხადდა და ბრალი აღიარა. სასამართლომ 32 წლის იროდიონ ნაჭყებიას ჩადენილი დანაშაულისათვის 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

გამამართლებელი განაჩენი ქურდობაში ბრალდებულს

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ქურდობაში ბრალდებული კოლია მაშანეიშვილის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა. ბრალდების მხარე მას ბიძაშვილის ჯემალ მაშანეიშვილის საკარმიდამო ნაკვეთის ირგვლივ შემოვლებული ღობის ქურდობაში ედავებოდა.

სასამართლომ შეისწავლა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებები და დაადგინა, რომ ბრალდებულს დანაშაული არ ჩაუდენია. როგორც სასამართლო გამოძიებით გაირკვა, სამი წლის წინ გადაუღებელი წვიმების გამო ადიდებულმა მდინარე ხანისწყალმა სანაპიროს გასწვრივ ჯემალ მაშანეიშვილის ღობის ნაწილი წაიღო. რადგან მეპატრონე რუსეთში იმყოფებოდა, დარჩენილი 7-8 მეტრი სიგრძის მავთულბადის ღობე კოლია მაშანეიშვილმა შეინახა, მომავალში ადიდებულ მდინარეს რომ არ წაეღო. მანვე გამოძიებას ნებაყოფლობით წარუდგინა ჯემალ მაშანეიშვილის ნაკვეთიდან მოხსნილი მავთულბადე. სასამართლომ დაადგინა, რომ დაზარალებული კეთილსინდისიერად შეცდა, როდესაც ბრალდებული დანაშაულის ჩადენაში ამხილა. კოლია მაშანეიშვილი კი მისდამი შერაცხულ ბრალში უდანაშაულოდ ცნო.

Vox populi

"ჩემი უფლებები შეილახა" - მკითხველის წერილი

Vox populi - ამ რუბრიკით სისტემატურად შემოგთავაზებთ მკითხველთა წერილებს, მოსაზრებებს და შეკითხვებს. ელექტრონული ფოსტის Samartalis3@gmail.com გაზეთის მკითხველს საშუალება ექნება, გამოგვიგზავნოს წერილები, მოსაზრებები, შეკითხვები მათთვის საინტერესო საკითხებზე. ამჯერად, გთავაზობთ, ქუთაისელი მკითხველის - ციცინო კილაძის მიერ გამოგზავნილ წერილს.

"ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1990 წლის 14 თებერვლის N3.69.180 გადაწყვეტილებით, რეგისტრაციაში გატარდა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა ოთხი წევრის შემადგენლობით - ამირან ლეჟავა, მე - ციცინო კილაძე, ზურაბ კაბოსნიძე და აკაკი კინწურაშვილი. ქუთაისში სარაჯიშვილის N51-ში ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობის ორსართულიანი ოთხბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოგვეყო 1200 კვ.მ მიწის ფართი. 1990 წელს დამუშავდა ინდივიდუალური სახლის მშენებლობის პროექტი და მიწის ფართზე შედგა ტოპოგეგმა კონკრეტული საზღვრების მითითებით, ასევე, სახლის განლაგების გენერალური გეგმა, რომლითაც აღნიშნულია გამოყოფილი მიწის 1200 კვ.მ ნაკვეთის განაშენიანების ფართი და თავისუფალი მიწის ნაკვეთი.

თითოეული მესაკუთრისათვის ინდივიდუალური განაშენიანების ფართი შეადგენდა 117 კვ.მ. ა.კინწურაშვილმა თავისი სახლის პროექტის და სახლის არსებული მიწის ნაკვეთი დამითმო მე, ანუ 234 კვ.მ დავარეგისტრირე ჩემს საკუთრებად, ხოლო 2007 წელს ზურაბ კაბოსნიძემ თავისი სახლი მიყიდა არჩილ ლეჟავას ვაჟას ამირან ლეჟავას, რომლის საკუთრებასაც წესით, წარმოადგენს 234 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი, დანარჩენი მიწის ნაკვეთი დარჩა საერთო საკუთრებაში.

ამირან და არჩილ ლეჟავებმა, უკანონოდ შემოიერთეს 419.50 კვ.მ. შემდეგ კი, საერთო სარგებლობის 732 კვ.მ მიწის ფართის ათვლა განახორციელეს მითვისებული ფართიდან და დაარეგისტრირეს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით თავიანთ სახელზე, რითაც ჩემი უფლებები არსებითად შეილახა (თანაც, ჩვენი ტერიტორია მთლიანად წარმოადგენს სამუზეუმე ტერიტორიას.). ყოველივე დასტურდება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N2802/15-2009 წლის დასკვნით, სადაც მითითებულია, რომ: "სარაჯიშვილის ქ.N 51-ში არსებული მიწის ნაკვეთის დღეისათვის არსებული საზღვრები არ შეესაბამება არსებულ გენგეგმას და ტოპგეგმას, რადგან ნაკვეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით ხელოვნურად შექმნილია ახალი ტერიტორია." ამავე დასკვნის თანახმად, ლეჟავებს პროექტის დარღვევით აქვთ ნაწარმოები საცხოვრებელი სახლის მშენებლობაც.

ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, ლეჟავებმა სახლს კვლავ უკანონოდ მიაშენეს აივანი, რომელიც სანახევროდ ჩემს კედელს ებჯინება და მეზღუდება გამავალი ფანჯრით სარგებლობის უფლება. მათ ასევე, უკანონოდ ააშენეს კიბეები.

2008 წლის 3 დეკემბერს სარჩელით მივმართე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და საქმეზე დამტკიცდა მორიგების აქტი (03.12.2009 წლის განჩინება) და ამ საფუძვლით შეწყდა საქმის წარმოება. თუმცა, ლეჟავებმა მორიგების აქტით დადგენილი პირობები არ შეასრულეს - კვლავ უკანონოდ მშენებლობები და საზღვარი თვითნებურად გადმოწიეს, რაც დასტურდება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და ქუთაისის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის დასკვნით. 2011 წლის 19 ივლისს კი, არჩილ ლეჟავამ მიმართა ქუთაისის საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა უკანონოდ მითვისებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტერიტორიის მის სახელზე დარეგისტრირება, რაზეც უარი ეთქვა.

სარაჯიშვილის N51 თვითნებურად გადანომრილია შემდეგი სახით: ამირან ლეჟავას საცხოვრებელი ფართი N51ა, ზურაბ კაბოსნიძის N51ბ, ხოლო ჩემი - ციცინო კილაძის სარაჯშვილის ქ. N 51გ. შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილება ქუჩის გადანომვრისა და უძრავი ქონებისათვის მისამართის შეცვლის ან მიკუთვნების შესახებ არ არსებობს. როგორც თავად ლეჟავები აცხადებენ, მათ თურმე ვიღაც დიდი პიროვნება მფარველობს."

ჩანართი მომზადებულია პროექტის "სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოსაზრებებს.

UNDP Georgia